განკარგულება:**g-37. 37252112**
თარიღი:**30/07/2025**

**განკარგულება N28**

30 ივლისი 2025 წელი

ქ. ოზურგეთი

# ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ტერიტორიაზე მდებარე უსახელო მწვერვალისთვის საქართველოს ეროვნული გმირის - ზაზა დამენიას სახელის მინიჭების შესახებ

*საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „პ“ ქვეპუნქტის, 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა.ე“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის 1-ლი და მე-2 ნაწილების და ,,მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 1 ივნისის №239 დადგენილების შესაბამისად, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულომ*

***გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა :***

**მუხლი 1.** ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ტერიტორიაზე, მდებარე უსახელო მწვერვალს (გეოგრაფიული კოორდინატები: ჩრდილოეთ განედის $41^0$ 47 10″ და აღმოსავლეთ გრძედის $42^0$ 12″ 56″ სიმაღლე ზღვის დონიდან 2650 მ) მიენიჭოს საქართველოს ეროვნული გმირის-ზაზა დამენიას სახელი. (თანდართული რუკის თანახმად).

**მუხლი 2.** ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიამ ოთხი თვის ვადაში უზრუნველყოს ამ განკარგულების შესასრულებლად საჭირო ღონისძიებების განხორციელება.

**მუხლი 3.** განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში გაცნობიდან ერთი თვის ვადაში (მის: ქ. ოზურგეთი, ი. სიორიძის ქ.№14).

**მუხლი 4.** განკარგულება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

დავით დარჩია

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი